



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების მეცნიერებები
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 11 ნოემბერი, 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19.12.2019

თბილისი

2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები
განათლების საფეხური	მე-7 (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მეცნიერებებების მაგისტრი - 0111
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ზანძელაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო (თავმჯდომარე)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი გახელაძე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი , საქართველო(წევრი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ქაჯაია, მწვანე სკოლა, საქართველოს (წევრი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო შარაბიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტი წევრი)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგი მოხსენიებული როგორც „უნივერსიტეტი“) მიერ წარმოდგენილი „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს შეესაბამება. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „განათლების მეცნიერებების მაგისტრი“. კვალიფიკაციის კოდი: 0111.

წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტებულია 2012 წელს, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების # 229 საფუძველზე. პასუხობს რა განათლების სფეროს თანამედროვე მოთხოვნებს, პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი სახეცვლილება ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, რაც ასევე ეფუძნებოდა უნივერსიტეტში წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილებას ვინაიდან განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამა 1999 წლიდან ფუნქციონირებს.

პროგრამა ქართულენოვანია, მისი ხელმძღვანელია ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ივანე მინდაძე, ხოლო პროგრამის კოორდინატორია პროფესორი ქეთევან ჭკუასელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 აკადემიური პერსონალი, აქედან 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ემერიტუს პროფესორი. ამას გარდა, პროგრამაში სხვადასხვა კუთხით მონაწილეობს 14 აფილირებული, 18 არააფილირებული და 17 მოწვეული მასწავლებელი.

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს განათლების სპეციალისტი, რომელსაც ექნება ზოგადპედაგოგიკური და სწავლება-სწავლის პროცესთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური დისციპლინების სიღრმისეული თეორიული ცოდნა და გამომუშავებული ექნება განათლების მეცნიერებების დარგისათვის შესაბამის პრაქტიკულ უნა-ჩვევები.

„განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამა 4 სემესტრის განმავლობაში გრძელდება. პროგრამა შედგება სასწავლო 100 ECTS და კვლევითი - 20 ECTS კომპონენტებისაგან. აღნიშნული შედგება შემდეგისაგან: პროგრამის საერთო სავალდებულო კურსების შედეგად სტუდენტი მოიპოვებს 75 ECTS-ის (სულ 14 საგანი), პროგრამის სავალდებულო- არჩევითი კურსები შეადგენს 10 ECTS-ის (შედგება ზოგადი განათლების ბლოკი: 2 საგანი და უმაღლესი განათლების ბლოკი: 2 საგანი), არჩევითი საგნები შედგება 15 ECTS-გან (21 საგანი) და სამაგისტრო ნაშრომი 20 ECTS-ის ოდენობით.

პროგრამაზე მისაღებად პოტენციურ სტუდენტს მოეთხოვება ნებისმიერი დარგის ბაკალავრის ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდის A ტიპის ტესტის ჩაბარება, უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული წერიითი გამოცდის გავლა პედაგოგიკაში, ასევე ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული, ან ფრანგული) არანაკლებ B1 დონეზე ცოდნა.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი დაიგეგმა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის № 1007 ბრძანების საფუძველზე. ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 11 ნოემბერს და წარმოდგენილი პროგრამა შეაფასა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. მიზნიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ მიეწოდა უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი პროგრამის სააკრედიტაციო მასალა.

ვიზიტის განმავლობაში შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. ვიზიტის განმავლობაში გასაუბრება მოხდა მაგისტრატურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუები გაიმართა დამსაქმებლებთან, რომლებიც ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში.

ექსპერტების ჯგუფს ჰქონდათ შესაბამისი დრო დაესვათ კითხვები, ჩაენიშნათ ინფორმაცია და გამოეტანათ სათანადო დასკვნები. ვიზიტის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებს ძირითადი მიგნებები გააცნო.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ძირითადად შემდეგნაირად განისაზღვრა:

1 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგანაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ პროგრამის მნიშვნელობა, ესმით საკუთარი შედარებითი უპირატესობა სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით, სწავლის შედეგები ნათლადაა გაწერილი და სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზანს მოამზადოს კომპლექსური თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი განათლების სპეციალისტი.

სტანდარტი 2 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგანაც მიუხედავად პროგრამის კომპლექსური შინაარსისა გამოვლიდან გარკვეული რეკომენდაციები შემდეგი კუთხით: სასწავლო კურსებში წარმოდგენილი უცხო ენოვანი ლიტერატურის დამლევის სირთულე სტუდენტების მხრიდან, კვლევის მეთოდების, კრიტიკული აზროვნების მქონე მაგისტრანტის მომზადებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის გაძლიერების საჭიროება და შეფასების რუბრიკების დახვეწის აუცილებლობა სილაბუსებში.

სტანდარტი 3 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. უნივერსიტეტში ცალსახად არსებობს სტუდენტებისთვის კეთილგანწყობილი გარემო. აკადემიური პერსონალის მზაობა გაუწიონ სტუდენტებს დახმარება თვალსაჩინოა და იგრძნობა სტუდენტების მხრიდან. თუმცა, ასევე გამოვლინდა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების დატვირთვის გადახედვისა და ზოგადად, ხელმძღვანელობის პროცესის/ეტაპების დახვეწის საჭიროება.

სტანდარტი 4 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. უნივერსიტეტის აკადემიურ გარემოში თანაბრად არიან ჩართულები აფილირებული და მოწვეული ლექტორები. მათ გააჩნიათ საერთო ხედვა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. დამსაქმებლებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან წარმატებული თანამშრომლობა, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების კარგი წინაპირობაა. სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტაციით გათვალისწინებული თანამშრომლების პროფესიული განვითარება.

სტანდარტი 5 ასევე შეფასებულია როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. უნივერსიტეტში არსებობს მექანიზმი და გამოცდილება უზრუნველყოფილი იყოს ხარისხის მუდმივი მონიტორინგი პროგრამის განვითარების მიზნით.

▪ რეკომენდაციები

აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი სახის რეკომენდაციები წარმოადგინა:

სასწავლო კურსებით განსაზღვრულ სავალდებულო თუ დამატებითი ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში უცხოურ ენაზეა წარმოდგენილი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტმა შეძლოს დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება აღნიშნული მასალების თარგმნის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ენის კომპეტენცის დონიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის სირთულეს წარმოადგენს წარმოდგენილი ლიტერატურის ათვისება.

რეკომენდებულია პროგრამაში კვლევის მეთოდები 1 და კვლევის მეთოდები 2 განსხვავებების წარმოჩინება და მეტი პრაქტიკული დეტალების ინტეგრირება, განსაკუთრებით შეფასების კომპონენტებში. ასევე დასახვეწია შეფასების კრიტერიუმები და დასაზუსტებელია დავალების ტიპები. წარმოდგენილ სილაბუსებით ვერ დგინდება რა ტიპის დავალებების შესრულება უწევთ სტუდენტებს შუალედურ და დასკვნით წერილობით გამოცდებზე, რა ცოდნას ამოწმებს დასკვნითი გამოცდის ზეპირი ნაწილი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილდეს პრეზენტაცია. აღნიშნული საგნების გარდა, შეფასების რუბრიკების თუ დავალების ტიპების დეტალურად გაწერა ასევე რეკომენდებულია სხვა სასწავლო კურსებშიც სტანდარტი 2.6-ის მიხედვით.

მნიშვნელოვანია მოხდეს სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტის მუშაობის პროცესის სათანადო დოკუმენტირება. შესაბამისად, რეკომენდებულია შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მუშაობის წესი, რომლის საფუძველზეც წარმოჩინდება თემაზე მუშაობის პროცედურები/ეტაპები, ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები, ასევე სტუდენტის მუშაობის პროგრესი. აღნიშნული დოკუმენტი იქნება მყარი მტკიცებულება სტუდენტებისთვის იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელის რეკომენდაციით თემა არ გადის საჯარო დაცვაზე. საერთო ჯამში,

აღნიშნული პროცესის დახვეწა ხელს შეუწყობს ხარისხიანი სამაგისტრო თემის მომზადებას და სტუდენტების მოლოდინების განსაზღვრას.

მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამატებით აკადემიური პერსონალის მობილიზება სამაგისტრო თემების ხელმძღვანელობის მიზნით. არსებული დატვირთვა არარელევანტურია და იმოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადაიხედოს სამაგისტრო ხელმძღვანელების დატვირთვა. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა ხელმძღვანელების დივერსიფიკაცია, ასევე თითოეულ ხელმძღვანელზე მიმაგრებული სტუდენტების რაოდენობის შემცირება.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი სახის რჩევები წარმოადგინა:

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის მიზნების, შედეგების ან შინაარსობრივი მხარის შესახებ მუდმივი კომუნიკაცია პროგრამის ჩამოყალიბებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული გაზრდის პროგრამის განვითარების პერსპექტივებს მუდმივი დიალოგის რეჟიმში.

სასურველია სილაბუსებში ნათლად იყოს წარმოდგენილი თითოეული სასწავლო კურსის მიერ მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასების ხედვა. საჭიროა გაიწეროს შუალედური და დასკვნითი შეფასების რომელი კომპონენტებით ხდება თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. აღნიშნული საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჰქონდეთ ყოვლისმომცველი ინფორმაცია ინდივიდუალური სასწავლო კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის ლოგიკური კავშირის შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელმა შეიძლება განიხილოს სასწავლო პროგრამაში უცხო ენის შემსწავლელი კურსის ინტეგრირების საჭიროება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებს დაძლიონ სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო ლიტერატურა, ასევე სათანადოდ გაეცნონ სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში.

საჭიროა ხელმოწერილი მემორანდუმების განახლება ვინაიდან წარმოდგენილი მემორანდუმების დიდი ნაწილის ვადა იწურება 2019 წელს. გარდა ამისა, სასურველია ურთიერთშეთანხმების მემორანდუმების გაფორმება განათლების სფეროში მომუშავე სხვა პოტენციურ დამსაქმებლებთან, მაგალითად არასამთავრო სექტორის წარმომადგენლებთან.

სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აწარმოოს კურსდამთვრებულთა დასაქმების რეესტრი, რათა მოხდეს პროგრამის დოკუმენტით განსაზღვრული დასაქმების სფეროების გადამოწმება. აღშნილი ბაზის ანალიზი მნიშვნელოვანი იქნება მოქმედი სტუდენტებისთვის კავშირების დასამყარებლად, პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობისთვის და ა.შ.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგი მოხსენიებული როგორც „უნივერსიტეტი“) მიერ წარმოდგენილი განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს შეესაბამება. პროგრამის შედეგად მისანიჭებელია კვალიფიკაციაა განათლების მეცნიერებების მაგისტრი. კვალიფიკაციის კოდია: 0111.

წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტებულია 2012 წელს, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების # 229 საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის შემდეგ პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი სახეცვლილება. თავდაპირველი ვიწრო სპეციალიზაციის ნაცვლად, წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია ჰოლისტური მიდგომის გათვალისწინებით, ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო თავად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით სფეროსთვის განსაზღვრული მოთხოვნები, კერძოდ კი სტუდენტებისთვის სწავლება-სწავლის პროცესის სიღრმისეული ცოდნის გადაცემა, ცოდნის გადაცემის თეორიების შესახებ კომპლექსური ხედვის ჩამოყალიბება, მეთოდებისა და ტექნიკის შესახებ სიღრმისეული ცოდნის შეძენა. აღნიშნულ პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის მომზადებაში ჩართული პირები აცნობიერებენ განათლების სფეროს მნიშვნელობას, მის დინამიურ ხასიათს, შესაბამისად, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მნიშვნელოვან როლს სფეროს განვითარების მიზნით. კვლევით კომპონენტზე ორიენტაცია არის უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის დადგენის ერთ-ერთი მყარი კრიტერიუმი. უნივერსიტეტს გააჩნია ჯანსაღი ამბიცია მოამზადოს მომავალი მკვლევრები, რომლებსაც ექნებათ სფეროს განვითარებისთვის აუცილებელი ხედვა და განწყობები, აღჭურვილი იქნებიან კონკრეტული ჩვევებით რათა შეძლონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული რეკომენდაციების წარმოდგენა.

უნივერსიტეტის განცხადებულ მისიასთან თავსებადობა ასევე დასტურდება იმ ღირებულებების გათვალისწინებით, რაც პროგრამის მიზნებშია გაწერილი. პროგრამის

შედეგად, სფეროს განვითარების მიზნით, მომზადდება განათლების სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ფუნდამენტალური ცოდნა ზოგადპედაგოგიკის და სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის კუთხით და გაცნობიერებული ექნებათ საკუთარი როლი სფეროს ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. სამაგისტრო პროგრამას საფუძველს უმაგრებს ის მრავალწლიანი ტრადიცია, რაც დაგროვებულია უნივერსიტეტში და ფაკულტეტზე, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა 1999 წლიდან ხორციელდება. ის ფაქტი, რომ პროგრამა თვისობრივად ახალი არაა, არამედ იგი ითვალისწინებს იმ გამოცდილებას რაც დაგროვდა პირველადი აკრედიტაციის შემდეგ, კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას პროგრამის შედარებით უპირატესობასთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, გაჟღერდა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები გამოირჩევიან კრიტიკული აზროვნების უნარით, რასაც ისინი სწორედ პროგრამის კომპლექსური მიდგომის საფუძველზე იძენენ.

პროგრამის მიზანი სრულიად გააზრებული და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ. პროგრამის შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს მკაფიოდ აქვს გააზრებული პროგრამის საჭიროება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის განცხადებული მიზნის საჯაროობას, აღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, ასევე, ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრებზეც მიეწოდებათ.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მიზნები და შედეგები რეალისტური და მიღწევადია. აღნიშნული დასტურდება პროგრამის შინაარსით და საგნობრივი დატვირთვით. ცოდნა-გაცნობიერების კუთხით, წარმოდგელი პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ფართო თეორიული ცოდნის გადაცემას პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დისციპლინების, კვლევითი მეთოდების, განათლების პოლიტიკისა, მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებების. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს ექნება უნარი ხელი შეუწყოს საქართველოს განათლების სისტემის ჰარმონიზებას საერთაშორისო სივრცესთან, დაგეგმოს და განახორციელოს პრაქტიკული საკითხების კვლევა, განსაზღვროს სწავლე/სწავლების პროცესის ორგანიზების ფორმები, პრინციპები და მეთოდები, ხელი შეუწყოს ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების ორგანიზებას და ა.შ. შესაბამისად, სტუდენტი აღჭურვილი იქნება სათანადო ცოდნით და უნარებით რათა შეძლოს განათლების პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირება და გადაწყვეტა, სწავლა/სწავლების პროცესის წარმართვა, ეთიკური ნორმების დახვა და სხვა. აღნიშნული მიზნების მიღწევა უზრუნველყოფილია პოტენციური სტუდენტებისთვის შეთავაზებული პროგრამის შინაარსით. იგი ცალსახად კომპლექსურია, სტუდენტებისთვის შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი საგნების რაოდენობა და მოცულობა უზრუნველყოფს განათლების სპეციალისტისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა ნათლად წარმოადგენს თითოეული სასწავლო კურსის შედეგად პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. გარდა ამისა, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული წარმოადგენს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები აღნიშნულ სწავლის შედეგს.

წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ბაზრის კვლევის ჩატარება. გაანალიზებული იყო როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის არქივში სფეროში მოქმედი დამსაქმებლების მიერ დადგენილი მოთხოვნები, ასევე ჩატარებული და გაანალიზებულია დამსაქმებლების მოთხოვნების თვისებრივი კვლევა. სწორედ ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით გამყარდა მოსაზრება პროგრამის ფართო სპეციალიზაციის კუთხით განვითარებასთან დაკავშირებით, ასევე გათვალისწინებული იყო ის ზოგადტრასფერული უნარები, რაც კურსდამთავრებულებისთვის აუცილებელი წინაპირობაა დასაქმების ადგილას ინტეგრაციისა და თვით-დამკვიდრებისთვის. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა გამოწვევადაც დაასახელეს, რომ კურსდამთავრებულებს უფრო თეორიული ცოდნა აქვთ, ვიდრე პრაქტიკული უნარ-ჩვევები. აღიშნა, რომ სამუშაო ადგილზე მათ სჭირდებათ კონკრეტული ხედავა, უნარები, ხოლო გასაუბრების დროს, ისინი, ხშირ შემთხვევაში, ძირითადად თეორიულ ცოდნაზე აპელირებენ, რაც ნაკლებად კონკურენტუნარიად წარმოაჩენს მათ სხვა კანდიდატებთან შედარებით.

დადებითი ფაქტია ისიც, რომ ბაზრის კვლევაში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სფეროში მოქმედი დამსაქმებლების შეხედულებები, საჯარო სამსახურის წარმომადგენლები, კერძო კომპანიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაცია. აღნიშნული აძლიერებს დასკვნების კომპლექსურობას.

ზოგადად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი თუ სტუდენტები პროგრამის შედარებით უპირატესობად ასახელებენ იმ მრავალწლიან გამოცდილებას, რაც დაგროვებულია უნივერსიტეტში ამ მიმართულებით. ასევე, ჩართული აკადემიური პერსონალის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რომელთა სინთეზი სტუდენტებს საშუალებას აძლევს პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხის უკეთ გააზრებაში.

თუმცა აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის და პროგრამის ძლიერი მხარეებისა, თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული ინფორმაციით პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი იკლებს. აღნიშნულს, თავად ადმინისტრაციის წარმომადგენლები მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის შესაძლო ნაკლოვანებით ხსნიან. ისინი აღნიშნავენ, რომ მაგისტრატურის სტუდენტების დიდი უმეტესობა დასაქმებულია, შესაბამისად დასაქმების მაჩვენებლის შესახებ მონაცემთა შეგროვება გადახედვას საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია;
- პროგრამის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბაზრის კვლევა;
- კითხვარების ფორმები დამსაქმებლებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა 14 (თოთხმეტ) სწავლის შედეგს მოიცავს, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ასევე ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესაბამისად, ჩამოყალიბებული შედეგები შინაარსობრივად აღწერს ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც პოტენციური სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შედეგად. პროგრამის მიზნების შესაბამისად კურსდამთავრებულს ექნებათ ღრმა თეორიული ცოდნა პედაგოგიური-ფსიქოლოგიური დისციპლინების კუთხით, ექნებათ საფუძვლიანი წარმოდგენა სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ, განათლების სისტემის ფუნქციონირებისა და ხარისხის მართვის შესახებ, ასევე ეცოდინებათ ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების

პრინციპები. ამავდროულად, პროგრამა წარმოდგენილი შინაარსით დამღევის შედეგად სტუდენტი განუვითარდება კომპეტენცია უზრუნველყოს საქართველოს განათლების სისტემის საერთაშორისო სისტემასთან ჰარმონიზაცია, დაგეგმონ, განახორციელონ და გააანალიზონ განათლების მიმდართულებით კვლევები, რაც ხელს შეუწყობს სფეროს განვითარებას. ამავდროულად, ისინი შეძლებენ სწავლა-სწავლების პრინციპები გამოიყენონ კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დამოუკიდებლად მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და გადაწყვეტა, ისევე როგორც იმოქმედონ ეთიკური ნორმების დაცვით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად წარმოჩინდა, რომ პროგრამის შედეგები შემუშავებულია მონაწილეობითი პრინციპის გამოყენებით. სამუშაო პროცესში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. ჩატარებულია ორ-კომპონენტური ბაზრის კვლევა, რომლის შედეგადაც შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია პროგრამაში, კერძოდ, ამ კუთხით აღსანიშნავია სწორედ კვლევითი კომპონენტის დამატება/გამდიერება და ტრანსფერული უნარების მეინტენიანინგი სხვადასხვა სასწავლო კურსების მიხედვით.

პროგრამის შემუშავების პროცესში, ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები და მოქმედი სტუდენტები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები, ანალიზი და რეკომენდაციები. გასაუბრების დროს, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებულია პროგრამის შინაარსსა და შედეგებში. მაგალითად, სტუდენტების თხოვნის შესაბამისად განათლების საკანონმდებლო ბაზა გაიყო ორ ნაწილად და პროგრამის შინაარსში გათვალისწინებული ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები და უმაღლესი განათლების სამართლებრივი საფუძვლები. ასევე დაემატა არჩევითი საგნები, რომლითაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაიღრმავონ თეორიული ცოდნა განათლების სფეროში.

გასაუბრების დროს ცალსახად გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის მომზადების პროცესში, აღნიშნული ასევე დასტურდება წარმოდგენილი ოქმებით. ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით მოხდა მათ შორის ფუნქციების გადანაწილება, თუმცა, ისინი ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა კომპონენტების შემუშავების პროცესშიც.

მიუხედავად მონაწილეობითი პრინციპის ხელშეწყობისა, გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ არ განხორციელებულა პროგრამის, მისი მიზნების, შედეგებისა და შინაარსის საბოლოო ფორმულირების გაცნობა შემუშავების პროცესში ჩართული პირებისთვის. დამსაქმებლები არ იცნობენ პროგრამის დოკუმენტის საბოლოო სახეს, ასევე სტუდენტებს არ აქვთ დეტალური ინფორმაცია პროგრამის საგნობრივი განფენილობის თუ სხვა კომპონენტების შესახებ.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად (თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის 02.03 ბრძანება „სსიპ - ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“), რომლითაც განსაზღვრულია რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საშუალება აქვს შესთავაზოს რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. გარდა ამისა, წარმოდგენილია დოკუმენტი თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამის შეფასების შესახებ ჩანაწერი (თუმცა დოკუმენტი არაა დათარიღებული და ხელმოწერილი), სადაც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოწოდებული აქვს კონკრეტული შემოთავაზებები პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით. აღნიშნული გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებში. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას ყოველი სასწავლო კურსის და პროგრამის დასრულების შემდეგ. ასევე წარმოდგენილია კურიკულუმების რუკა, რომელიც დალაგებულია გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების პრინციპით. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა ასევე გაანალიზებულია პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნის ჭრილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები • თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის 02.03 ბრძანება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“ • თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამის შეფასების შესახებ - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ბარათი • პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა • კურიკულუმების რუკა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის მიზნების, შედეგების ან შინაარსობრივი მხარის შესახებ მუდმივი კომუნიკაცია პროგრამის ჩამოყალიბებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული გაზრდის პროგრამის განვითარების პერსპექტივებს მუდმივი დიალოგის რეჟიმში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების მეცნიერებათა პროგრამისთვის განსაზღვრულია სტუდენტთა მიღების წინაპირობა, კერძოდ კი, პოტენციურ სტუდენტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით, ჩაბარებული ჰქონდეს საერთო სამაგისტრო გამოცდის A ტიპის ტესტი, გაიაროს წერიტი გამოცდა პედაგოგიკაში და შეძლოს უცხოური ენის B1 დონის დადასტურება საუნივერსიტეტო გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სრულად შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, იგი საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. აღნიშნულის შესახებ პოტენტიურმა სტუდენტმა ინფორმაცია შეიძლება უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით ან პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და თანახელმძღვანელთან უშუალო გასაუბრების შედეგად მიიღოს.

ვინაიდან პროგრამაზე დაშვების წინაპირობით პროგრამაზე შეიძლება ჩააბაროს ნებისმიერი სფეროს ბაკალავრიატის კვალიფიკაციის მქონე სტუდენტმა, დაისვა რამდენიმე ლოგიკური კითხვა: რამდენად ახერხებენ განსხვავებული სფეროდან მოსული სტუდენტები პედაგოგიკის ტესტის დაწერას, რამდენად კონკურენტუნარიანები არიან ისინი იმის ფონზე, რომ პროგრამაზე მიღების მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მისაღებ სტუდენტების რაოდენობას და ბოლოს, რამდენად უზრუნველყოფს უნივერსიტეტი უშუალო სწავლის პროცესში სტუდენტთან განსხვავებული დონის მართვას წინარე ცოდნის გათვალისწინებით.

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პოტენციურ სტუდენტებს წინასწარ ეძლევათ მასალა, რომელთაც ისინი უნდა გაეცნონ ტესტირებამდე. აღნიშნული მასალა მათ საშუალებას აძლევთ შეიქმნან წარმოდგენა სფეროს შესახებ. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი იყო ტესტირების ნიმუშიც. პროგრამის ხელმძღვანელის და მიღების პროცესში ჩართული აკადემიური პერსონალის განცხადებით, ტესტი სტრუქტურით ნაკლებად მოწმდება საგნობრივი კომპეტენცია, მისი შეფასების 60% მიზანმიმართულია დაადგინოს სტუდენტის ინფორმირებულობის დონე განათლების სფეროში, ხოლო 40% ეთმობა კანდიდატის ანალიტიკური მსჯელობის უნარს. რაც შეეხება სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორობის პრინციპის დაცვას, ვინაიდან პროგრამის აკადემიური პერსონალი როგორც კომპლექსური თეორიული ცოდნის, ასევე მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მატარებელია და ამასთანავე, თავად სტუდენტები, ხშირ შემთხვევაში, უკვე დასაქმებულები არიან, ლექციების განმავლობაში უზრუნველყოფილია სტუდენტების წინარე ცოდნის და უნარების ლოგიკური დაკავშირება განათლების სფეროს თეორიებთან. გარდა ამისა, მოწვეული ლექტორების უმეტესობა პრაქტიკოსები არიან და მათ კარგად ესმით სფეროში არსებული პრობლემატიკა, რასაც წარმატებით უზიარებენ სტუდენტებს.

გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს სტუდენტებისთვის უცხოური ენის B1 დონის დადასტურება. ეს გამოწვევა დაკავშირებულია არა იმდენად პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან, რამდენადაც უშუალოდ სწავლის პროცესში სასწავლო მასალის

დაძლევასთან. სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოური ენოვანია, სტუდენტებისთვის სირთულეს წარმოადგენს აღნიშნული მასალის დაძლევა B1 დონით. გარდა ამისა, სტუდენტმა, პროგრამის დასრულებისთვის, უნდა შეძლოს B2 დონის დადასტურება, რაც ასევე რთულია მათთვის, აკადემიური და სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში არაა გათვალისწინებული ენის შემსწავლელი კურსი, შესაბამისად სტუდენტს დამატებითი ძალისხმევა სჭირდება ენის კომპეტენციის გაუმჯობესებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოთ დასახელებული ბარიერებისა, საერთო ჯამში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა ამზადებს განათლების სფეროს სპეციალისტს. სტუდენტი, საკუთარი არჩევანის შესაბამისად, ცოდნას გაიღრმავებს ზოგადი განათლების ან უმაღლესი განათლების ბლოკების მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის დოკუმენტი; • თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრების შედეგები • წერიტი გამოცდის ნიმუში • ფაკულტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, ტექნიკური თვალსაზრისით, შედგენილია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად (მუხლი 46²). სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 4 (ოთხი) სემესტრი. პროგრამით განსაზღვრული კრედიტების საერთო რაოდენობაა 120, რომელთაგან სასწავლო (100 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან (20 ECTS). პროგრამა შინაარსობრივად შემდეგნაირადაა დალაგებული: პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები (75 ECTS), პროგრამის სავალდებულო- არჩევითი საგნები (10 ECTS) ზოგადი განათლების ან უმაღლესი განათლების ბლოკების მიხედვით, პროგრამის არჩევითი საგნები (15 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომი (20 ECTS). პროგრამა შედგენილია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის #153/2017 დადგენილებით „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები“, შესაბამისად გათვალისწინებული პროგრამის მთელი ციკლის განმავლობაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა. აღნიშნული დადასტურებულია როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუების შედეგად.

პროგრამის შინაარსის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებული იყო ფაკულტეტზე დაგროვილი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება, ასევე დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებში კრედიტების გადანაწილების სისტემა ლოგიკურადაა გააზრებული, სავალდებულო საგნები ძირითადად 5, ხოლო არჩევითი - 3 კრედიტ ქულით შემოიფარგლება. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა სრულიად შეესაბამება საგნების შინაარსობრივ დატვირთვას და ზოგადად რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად.

პროგრამის სიძლიერეა სხვადასხვა კომპექსური, თეორიული საგნები, რომლებიც განათლების სფეროს დიაქრონულ და სინქრონულ ჭრილში განიხილავს. პროგრამის მიერ შემოთავაზებული არჩევითი კურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ცოდნის კონკრეტული მიმართულებით გაღრმავებას. სტუდენტებს 21 არჩევითი დისციპლინიდან, შეუძლია აირჩიოს 5 სასწავლო დისციპლინა მესამე და მეოთხე სემესტრში. მეორე სემესტრში წარმოდგენილია 2-დისციპლინიანი ბლოკები, ხოლო მეოთხეში - 3-დისციპლინიანი.

სემესტრულად საგნების განფენილობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ეტაპობრივად მარტივიდან რთულის და ზოგადად კონკრეტულის მიმართულებით. აღნიშნული დასტურდება კონკრეტულ საგნებში გათვალისწინებული დაშვების წინაპირობით, ასევე გასაუბრების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ ისაბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის #153/2017 დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები“, • პროგრამის დოკუმენტი • თვითშეფასების ანგარიში • სილაბუსები • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს 17 სავალდებულო, 21 არჩევით სტატუსის სასწავლო დისციპლინას და კვლევით კომპონენტს სთავაზობს. წარმოდგენილი სასწავლო კურსები შინაარსობრივად კომპლექსურია და სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. მეტიც, წარმოდგენილი საგნები თვისობრივად ხელს უწყობს სტუდენტებს შეიძინონ განათლების სფეროს შესახებ ჰოლისტიკური ხედვა, ასევე საკუთარი სურვილის შესაბამისად, სპეციალიზაცია მოახდინონ ზოგადი განათლების თუ უმაღლესი განათლების მიმართულებით. სასწავლო კურსების სემესტრულად დალაგება განპირობებულია პრინციპით ცოდნა - გაღრმავება - განმტკიცება.

აქვე აღსანიშნავია, რომ გასაუბრების დროს, სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარემ სასწავლო პროგრამის შედეგად სტუდენტისთვის გადაცემული ფართო თეორიული ცოდნა დადებითად შეაფასა. თუმცა, გარკვეულ წილად, ეს გამოწვევასაც წარმოადგენს. პირველ რიგში, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა დატვირთულია შინაარსობრივად და რთულია წარმოდგენილი მოცულობით მასალის ათვისება. მეორეს მხრივ დამსაქმებლები წარმოაჩენენ სტუდენტებში ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით ცოდნის საჭიროებას შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გამო.

წარმოდგენილ პროგრამაში სავალდებულო საგნები ძირითადად 5 კრედიტიანია, ხოლო არჩევითი საგნები 3 კრედიტიანი. აღნიშნული შეესაბამება ECTS კრედიტების ფრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სახელმძღვანელო პრინციპებს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაციებს. წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, სტუდენტებს სთავაზობს რელევანტურ დატვირთვას და ასათვისებელ მასალას.

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ თითოეულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები პასუხობს აღნიშნული საგნით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მიუხედავად იმისა რომ აკადემიურ პერსონალს აქვს აღნიშნული ხედვა, კონკრეტულად არაა განსაზღვრული რომელ სწავლის შედეგზეა მიზანმიმართული შეფასების ესა თუ ის კომპონენტი. სილაბუსში ამ საკითხის გაწერა სტუდენტებისთვისაც ხელსაყრელია, რადგანაც მათ ექნებათ კომპლექსური წარმოდგენა სწავლის შედეგების შესახებ.

სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა შეესაბამება განათლების სფეროში არსებულ ძირითად მიმართულებებს. შერჩეული ლიტერატურა თანამედროვეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც წიგნის, ასევე ელექტრონული ფორმითაც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში სავალდებულო ლიტერატურა სილაბუსებში უცხო ენოვანია, რაც სტუდენტებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. B1 დონეზე უცხოური ენის ფლობა, რაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა, არაა საკმარისი აღნიშნული მასალის

დასაძლევად. აღნიშნულის შესახებ აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი თავად უზრუნველყოფენ გარკვეული მასალის თარგმანს. სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ თავადაც უწყვეტ მიმართონ მეგობრებს დახმარებისთვის. ნებისმიერი შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი გამოწვევას წარმოადგენს და საჭიროა დარეგულირდეს ფაკულტეტის მხრიდან, განსაკუთრებით თუკი გავითვალისწინებთ სამაგისტრო თემებზე მუშაობის პროცესში უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების აუცილებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • პროგრამის დოკუმენტი • პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა • სილაბუსები • საბიბლიოთეკო რესურსები • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: • მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსებში შეტანილი სავალდებულო თუ დამატებითი ლიტერატურა იყოს ქართულენოვანი ან ფაკულტეტმა შეძლოს დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება აღნიშნული მასალების თარგმანის უზრუნველსაყოფად. უცხოურ ენაზე წარმოდგენილი სასწავლო რესურსებით სარგებლობა ხშირ შემთხვევაში პრობლემურია სტუდენტებისთვის უცხოური ენის კომპეტენციის გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სილაბუსებში ნათლად იყოს წარმოდგენილი თითოეული სასწავლო კურსის მიერ მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასების ხედვა. საჭიროა გაიწეროს შუალედური და დასკვნითი შეფასების რომელი კომპონენტებით ხდება თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. აღნიშნული საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჰქონდეთ ყოვლისმომცველი ინფორმაცია ინდივიდუალური სასწავლო კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის ლოგიკური კავშირის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გასაუბრების დროს, როგორც აკადემიურმა პერსონალმა, ასევე თავად სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების მნიშვნელობასა და კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საჭიროებას. ასეთი უნარებით სტუდენტების აღჭურვა პროგრამის განცხადებული მიზანია. პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება უზრუნველყოფილია რამდენიმე გზით. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სასწავლო კურსები „კვლევის მეთოდები განათლებაში 1“ და „კვლევის მეთოდები განათლებაში 2“. აღნიშნული საგნები უმნიშვნელოვანესია, რათა სტუდენტმა გაიაზროს კვლევის პარადიგმა, დაგეგმოს, განახორციელოს და გაანალიზოს კვლევის მიგნებები. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ორი საგნის მიზნები და სწავლის შედეგები დიდ წილად ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, მეორდება „გაცნოს პედაგოგიური კვლევის კლასიკურ და თანამედროვე მეთოდების ერთობლიობა“ და „დაეხმაროს სტუდენტს, სამაგისტრო ნაშრომი შეასრულოს პედაგოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით“. ასევე მეორდება სწავლის შედეგები. მაგალითად, ცოდნა-გაცნობიერების კუთხით, ორივე სილაბუსში განმეორებულია „აცნობიერებს კვლევის აუცილებლობას სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად“, „იცის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, კვლევის კლასიკური მეთოდები: დაკვირვება და ექსპერიმენტი და მათგან გამომდინარე თანამედროვე მეთოდთა მრავალფეროვნება“. ასევე მეორდება ჩანაწერები უნარებსა და პასუხისმგებლობა- ავტონომიურობის კუთხით. ორივე სილაბუსში მითითებული ერთი და იგივე ლიტერატურა. ვინაიდან სასწავლო კურსში გაწერილ ყოველ კვირეულ შინაარსში არაა მითითებული გვერდები, შესაბამისად ვერ დგინდება რამდენად განსხვავებული მასალის დაძლევა უწევთ სტუდენტებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარკვეულ შემთხვევებში, შინაარსი მეორდება. მაგალითად, მე-2 კვირაში კვლევის მეთოდები 1-ში განიხილება თემა „რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის თავისებურებები“, ასევე კვლევის მეთოდები 2-ში „რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ზოგადი და შედარებითი დახასიათება“.

ასევე, აღნიშნული სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასება იდენტურია. ამასთანავე, შეფასების კუთხით გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა. შუალედური შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია პრაქტიკული მეცადინეობაზე დასწრება (ფასდება 10 ქულით), თუმცა არაა ნათელი თუ რა სახის პრაქტიკულ მეცადინეობა იგულისხმება. ასევე შუალედური გამოცდა წერითი ტიპისაა, ფასდება 20 ქულით, მაგრამ არაა მოცემული რა ტიპის დავალებების შესრულება უწევს სტუდენტს. შეფასების რუბრიკიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოწმდება თეორიული ცოდნა. ერთი-ერთი კომპონენტია პრეზენტაცია (ფასდება 20 ქულით), არაა ნათელი რა ტიპის პრეზენტაცია უნდა წარმოადგინოს სტუდენტმა, მოიაზრებს თუ არა იგი დამოუკიდებელი კვლევის შედეგების წარმოდგენას, თუ სტუდენტებს კვლავ რაიმე თეორიულ საკითხზე მსჯელობა მოეთხოვებათ. დასკვნითი შეფასებაა 40 ქულა, რომელიც შედგება 20 ქულა ზეპირი გამოცდისგან და 20 ქულა წერილობითი გამოცდისგან. კვლავ არაა ნათელი რა ტიპის დავალებები ეძლევა სტუდენტებს, შესაბამისად ვერ ვადგენთ რამდენად ავითარებს აღნიშნული შეფასების კომპონენტები სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა მიმართული, ასევე, არჩევითი სასწავლო საგანი სამაგისტრო სემინარი, რომლის მიზანია მაგისტრმა შეიძინოს სამეცნიერო სტატიების დამუშავების და მიღებული ინფორმაციის ანალიზის, რეზიუმირების, დემონსტრირების უნარი, გაეცნოს უახლეს მიღწევებს და კვლევის აქტუალურ თემატიკებს განათლების მეცნიერებებში. დავალების ტიპები აღნიშნულ სილაბუსშიც გასაწერია, რათა სტუდენტს ნათელი მოლოდინები ჰქონდეს საგნის არჩევის შემთხვევაში. მაგალითად, შუალედური თუ დასკვნითი შეფასების ძირითადი კომპონენტია პრეზენტაცია, თუმცა არაა ნათელი რა სახის პრეზენტაცია უნდა წარმოადგინოს სტუდენტმა.

პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ასევე ავითარებს პროფესიული პრაქტიკა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, გაფორმებულია დაახლოებით 45 მემორანდუმი, მათ უმრავლესობას 2019 წელს გასდის ვადა და საჭიროებს განახლებას. პრაქტიკა წარმოდგენილ პროგრამაში ძალზედ მნიშვნელოვანია და უნივერსიტეტის პროფესიული კავშირები ზოგადი განათლების სხვადასხვა დაწესებულებებთან უზრუნველყოფს აღნიშნული კომპონენტის წარმატებით განხორციელებას. პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი აღნიშნავენ, რომ ზოგადად პროფესიული პრაქტიკის განხორციელება გამოწვევებთან არის დაკავშირებული კანონმდებლობიდან გამომდინარე. წარმოდგენილი საგნის შეფასების სისტემაც დასახვეწია. მაგალითად, აღნიშნულია წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც 20 ქულით ფასდება, თუმცა არაა ნათელი რა დოკუმენტაციაზეა საუბარი ან უბრალოდ ჩამონათვალი არის თუ არა საკმარისი ამ შეფასებისთვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც სტუდენტი პროგრამის დასრულებისას წარმოადგენს. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში ხელმძღვანელი დახმარებას უწევს სტუდენტს თემის დაგეგმვის, წარმართვის და შესრულების კუთხით რეგულარული შეხვედრების საფუძველზე. თუმცა არ წარმოებს ასეთი შეხვედრების ან კონსულტაციების დოკუმენტირება, ხელმძღვანელი გარკვეული პერიოდულობით არ ავსებს რაიმე ფორმას, რაც დაასაბუთებდა აღნიშნულ პროცესს.

უნივერსიტეტში ცალსახად დადებითი პრაქტიკაა სტუდენტების მიერ სხვადასხვა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა, რაც ბუნებრივია უვითარებს მათ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სტუდენტები ადასტურებენ რომ მონაწილეობას იღებენ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში, ფინანსდება შიდასაუნივერსიტეტო პროექტები. გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ დაესწრონ სხვადასხვა სახის კურსებს, მაგალითად 2019 წლის გაზაფხულზე მათ შეძლენ მონაწილეობა მიეღოთ სამოქალაქო განათლებისა და ინგლისური ენის სწავლების მეთოდების კორსებში, რომელსაც ფულბრაიტის პროგრამით ჩამოსული ასოცირებული პროფესორი უძღვებოდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის დოკუმენტები • სილაბუსები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები • სასაწვლო უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმები • გასაუბრების შედეგების
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია პროგრამაში კვლევის მეთოდები 1 და კვლევის მეთოდები 2 განსხვავებების წარმოჩინება და მეტი პრაქტიკული დეტალების ინტეგრირება, განსაკუთრებით შეფასების კომპონენტებში. ასევე დასახვეწია შეფასების კრიტერიუმები და დასაზუსტებელია დავალების ტიპები. სტანდარტში აღწერილ საგნების წარმოდგენილ სილაბუსებით ვერ დგინდება რა ტიპის დავალებების შესრულება უწევთ სტუდენტებს შუალედურ და დასკვნით წერილობით გამოცდებზე, რა ცოდნას ამოწმებს დასკვნითი გამოცდის ზეპირი ნაწილი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილდეს პრეზენტაცია. • მნიშვნელოვანია მოხდეს ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტის მუშაობის პროცესის შეფასების დოკუმენტირება სემესტრულად. აღნიშნული პროცესის დახვეწა ხელს შეუწყობს ხარისხიანი სამაგისტრო თემის მომზადებას, ასევე სტუდენტი მეტად ინფორმირებული იქნება გაწეული სამუშაოს შესახებ, რაც განსაზღვრავს მის მოლოდინებსაც.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი პირების მიერ სტუდენტისთვის სწავლება წარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2007 წლის 5 იანვრით დათარიღებული ბრძანება #3-ის შესაბამისად. ამგვარად, სილაბუსების შესწავლის და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ლექტორები დანამდვილებით იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება და სხვა. ამასთანავე, მეთოდების გამოყენება შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად წარმოჩინდა, რომ სტუდენტები იცნობენ აღნიშნულ მეთოდებს, ხოლო ლექტორები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარკვეულ შემთხვევებში აღინიშნა კიდევ, რომ ლექტორი ითვალისწინებს ჯგუფის მომზადების და ცოდნის დონეს, რის საფუძველზეც შესაძლებელია როგორც შინაარსის გადახედვა, ასევე სწავლების მეთოდების შეცვლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები;
- სასწავლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სილაბუსების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად. შუალედური და დასკვნითი შეფასებები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, თითოეულს მიენიჭება განსაზღვრული ქულების რაოდენობა. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რამდენიმე სასწავლო საგნის სილაბუსში დაფიქსირდა გარკვეული სახის პრობლემები. მაგალითად, სილაბუსების ნაწილში შეფასების რუბრიკები არაა მოცემული ან ნათლად გაწერილი (შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგია, შეფასება საგანმანათლებლო სფეროში, კვლევის მეთოდები, სახელმწიფო და საერთაშორისო კვლევები, კარიერის განვითარება და მენეჯმენტი და სხვა). ასევე, გარკვეულ შემთხვევებში არაა მითითებული რა ტიპის დავალებების შესრულება უწევთ სტუდენტებს (მაგალითად, განათლების ეკონომიკა, ზრდასრულთა განათლება,, ფილოსოფიის ძირითადი საკითხები, კვლევის მეთოდები განათლებაში, შეფასება საგანმანათლებლო სფეროში, განლების ფილოსოფია და სხვა).

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იცნობენ შეფასების ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. ლექტორი საჭიროებისამებრ აწვდით მათ ინფორმაციას შეფასების შესახებ, ხდება შედეგების განხილვა. სტუდენტები ასევე იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ გასაჩივრების სისტემას. მათ შემლეს დაესახელებინათ კონკრეტული მაგალითები, როდესაც მათ გამოთქვეს ულმაყოფილება მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით, რასაც ადეკვატური რეაგირება მოჰყვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აღნიშნულ შემთხვევებში მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია, შესაბამისად, მექანიზმი მათთვის სრულიად მისაღებია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის სილაბუსები • გასაუბრების შედეგები • პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
რეკომენდაციები: • სტანდარტის აღწერილობით ნაწილში ჩამოთვლილ სასწავლო საგნების სილაბუსებში, რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკა; ასევე, საჭიროა მითითებული იყოს რა ტიპის დავალებების შესრულება უწევთ სტუდენტებს შეფასების თითოეული ფორმისა და კომპონენტის პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უნივერსიტეტთან ურთიერთობა რეგულირებულია უნივერსიტეტის დონეზე შესაბამისი დოკუმენტებით. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სტუდენტთა უფლებებს და მოვალეობებს სწავლა-სწავლების პროცესში. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. აღნიშნული დოკუმენტაციით უზრუნველყოფილია სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა სწავლების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციით სარგებლობა გადამოწმდა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გასაუბრებების შედეგად.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათ დაადასტურეს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინიცირებით კურსი - განათლების სამართალი ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი კურსის სახით, საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები და საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები. ასევე, სტუდენტების თხოვნით თითოეული კურსის ფარგლებში არსებული საათობრივი დატვირთვები შემცირდა. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებზე მიმავრებულია პროგრამის ტუტორი, რომელიც სემესტრის დაწყებამდე რამდენჯერმე ხვდება სტუდენტებს და უწყევს კონსულტირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან და საგნების არჩევა/ შერჩევასთან დაკავშირებით. სტუდენტების თქმით, შემდგომ ეტაპებზეც პროგრამის ტუტორი აქტიურად არის ჩართული

აღნიშნულ საქმიანობაში და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად ეხმარება მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში. ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გარდა ტუტორისა მათ აქტიურ დახმარებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი.

ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებაში, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისიდან, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნოს მის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს.

სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარსს, შეფასების სისტემას. მათ იციან, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება, თუმცა, როგორც წესი, იშვიათად იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს. სტუდენტების მოსაზრებით ეს განპირობებული იმ ფაქტით, რომ ლექტორებთან შესაძლებელი მუდმივი კომუნიკაცია სოციალური ქსელის მეშვეობით, რაც აპრობირებული პრაქტიკაა ფაკულტეტზე.

პროგრამის ფარგლებში მოქმედებს პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც სავალდებულოა და უსდ -ს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სტუდენტს თავისი სურვილის მიხედვით შეუძლიათ მათი არჩევა და პრაქტიკის განხორციელება, თუმცა წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა მწირია. ასევე, გაფორმებული მემორანდუმების მოქმედების ვადაა 3 წელი, შესაბამისად, მათ უმრავლესობას 2019 წლის ბოლოსთვის ეწურება ვადა და საჭიროებს განახლებას. ასევე, აღსანიშნავია, რომ ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლები არ არიან მხოლოდ ზოგადი განათლების დაწესებულებები, შესაბამისად სასურველია მემორანდუმები სხვა დამსაქმებლებთანაც გაფორმდეს, მაგალითად სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა.

უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს მეილზე შეტყობინებების სახით. ასევე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ტრენინგებში, რომელიც უმეტეს წილად ორგანიზებულია სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის მიერ, თუმცა გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ამ შესაძლებლობებს არ იყენებს. ასევე ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან დაინტერესებული ი გაცვლითი პროგრამებით, თუმცა ინფორმაციას აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ფლობენ. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა უცხოურ უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან, მაგალითად ჰელსინკის უნივერსიტეტთან, ტალინის უნივერსიტეტთან, ვარშავის უნივერსიტეტთან, ვილინიუსის უნივერსიტეტთან, გისენის იუსტუს-ლიბიგის სახელობის უნივერსიტეტთან და ა.შ. იმისათვის რომ სტუდენტებმა მაქსიმალურად ისარგებლონ უნივერსიტეტის მიერ

შემოთავაზებული განვითარების შესაძლებლობებით, საჭიროა გაანალიზდეს სტუდენტთა სურვილის ნაკლებობა და განისაზღვროს წახალისების მექანიზმები.

ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა ერთ-ერთ გასაუბჯობესებელ მხარედ დაასახელეს პრაქტიკული ელემენტების ნაკლებობა სასწავლო კურსებში. მათ სრულად აქვთ გააზრებული თეორიული ცოდნის მიღების საჭიროება, თუმცა ასევე მიიჩნევენ რომ საჭიროა მეტი პრაქტიკული უნარების განვითარება ბაზარზე კონკურენტუნარიად წარმოჩენის მიზნით. ასევე, სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ უცხო ენის B1 დონის მოთხოვნა არაა საკმარისი პროგრამის წარმატებით დაძლევის მიზნით. ისინი აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი სტუდენტი განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დგას ამ კუთხით, მათ სჭირდებათ კურსელების დახმარება სასწავლო მასალაში წარმოდგენილი ლიტერატურის თარგმნის კუთხით. ასევე სირთულეა, საბოლოო ჯამში უცხო ენის კომპეტენციის B2 დონეზე დადასტურება. ვინაიდან უცხო ენის სასწავლო კურსი პროგრამაში არ შედის, მათ დამატებითი ძალისხმევის გაღება სჭირდებათ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტში და კერძოდ, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებებთან ფაკულტეტზე შექმნილია სტუდენტებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გარემო. უნივერსიტეტის რეპუტაცია და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება, მათ დაასახელეს როგორც გადამწყვეტი ფაქტორი უნივერსიტეტის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- საერთაშორისო უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სტუდენტის/პროფესორის/ადმინისტრაციის ელექტრონული პორტალი;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ხელმძღვანელმა შეიძლება განიხილოს სასწავლო პროგრამაში უცხო ენის შემსწავლელი კურსის ინტეგრირების საჭიროება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებს დაძლიონ სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო ლიტერატურა, ასევე სათანადოდ გაეცნონ სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში.

საჭიროა ხელმოწერილი მემორანდუმების განახლება და განათლების სფეროში მომუშავე სხვა პოტენციურ დამსაქმებლებთან მემორანდუმების გაფორმება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნივერსიტეტში მოქმედებს თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, თსუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. სამაგისტრო თემას შეიძლება ასევე ჰყავდეს თანახელმძღვანელი. დოკუმენტი ასევე არეგულირებს ნაშრომის სტრუქტურას და ფორმატს. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი არის კვალიფიციური სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ უნარი გაუწიონ ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესში. თუმცა, პროგრამაში ჩართული ძირითადი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენს და აუცილებელია ერთ პროფესორთან მიმაგრებული სტუდენტების რაოდენობის შემცირება. აღნიშნული პრობლემურად შეფასდა როგორც სტუდენტების, ასევე თავად აკადემიური პერსონალის მიერ.

სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან სტუდენტებს (კვირაში ერთხელ) და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას თემატიკებზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვერ დადასტურდა რაიმე სახის ჩანაწერით. ხელმძღვანელები არ ახორციელებენ სტუდენტებთან კონსულტაციის დოკუმენტირებას, განსაზღვრული პერიოდულობით მაინც. აღნიშნული არგუმენტაცია საშუალებას მოგვცემდა დაგვეჩახა ხელმძღვანელების მუშაობა დინამიკაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელები იყენებენ ნაშრომების შემოწმებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: • მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამატებით აკადემიური პერსონალის მობილიზება სამაგისტრო ხელმძღვანელობის მიზნით. არსებული დატვირთვა არარელევანტურია და იმოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე. • რეკომენდებულია შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მუშაობის წესი, რომლის საფუძველზეც წარმოჩინდება თემაზე მუშაობის პროცედურები, ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები, ასევე სტუდენტის მუშაობის პროგრესი. აღნიშნული დოკუმენტი იქნება მყარი მტკიცებულება სტუდენტებისთვის იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელის რეკომენდაციით თემა ვერ გადის საჯარო დაცვაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილეობს 15 აკადემიური და 17 მოწვეული პედაგოგი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან 14 არის აფილირებული თსუ-სთან, მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი განათლების სისტემის თითქმის ყველა რგოლში მუშაობს. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის ბრძანება #05/03-ის (07.02.2018) საფუძველზე დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები: მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა; სტუდენტების არსებული და დაგეგმილი რაოდენობა; შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების რაოდენობა და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს 2018 წლის 8 მარტს დამტკიცებული, ბრძანება #07/03 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებისა და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებთან ამ კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის ფორმა. ჩამოთვლილი შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივ მონიტორინგს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეების შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. ისინი მეტ-ნაკლები რეგულარობით ეწევიან სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების ნაშრომები ძირითადად სამაგიდო კვლევებია.

ზოგადად, გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის განსაკუთრებულ ძლიერ მხარეს წარმოადგენს. მათ გააჩნიათ შესაბამისი სასწავლო კურსების ეფექტურად გაძლიერების საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რაც სტუდენტებისთვის მეტად მიმზიდველია.

პროგრამის ხელმძღვანელსა და კოორდინატორს აქვთ უმაღლესი სკოლაში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს არაერთ ღონისძიებაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სიახლეების გაცნობის მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებას. იგი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და შიდა და გარე შეფასების გზით მის მუდმივ გაუმჯობესებას. იგი, ასევე პასუხისმგებელია, კონსულტაციები გაუწიოს სტუდენტებს აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით (პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის/თანახელმძღვანელის/კოორდინატორის ფუნქციები და პასუხისმგებლობების სფერო - დანართი 2). სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი აქტიურად არიან ჩართული აღნიშნულ პროცესში. მათ აღნიშნეს, რომ განათლების მეცნიერებების პროგრამის შერჩევის დროს, სწორედ პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ფაქტორს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მიუხედავად აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაციისა, წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ავლენოთ, რომ საჭიროა გადაიხედოს თითოეულ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელზე მიმაგრებული სტუდენტების რაოდენობა. ბოლო წლების განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიის მიხედვით, თითოეულ ხელმძღვანელს საშუალოდ 5-6 სტუდენტის მუშაობის წარმართვა ევალება. თუ გავითვალისწინებთ პერსონალის აკადემიურ დატვირთვას, მათ მიერ კვლევითი-სამეცნიერო მუშაობის წარმართვის

საჭიროებასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს, აღნიშნული დატვირთვა საკმაოდ მასშტაბურია. პროგრამას მოემსახურება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული 23 ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა რიცხვი სავსებით საკმარისია აღნიშნულ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასება • სამუშაო აღწერილობები - CV-ები • აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი • „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის ბრძანება #05/03-ის, 07.02.2018 • ბრძანება #07/03 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ • პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის/თანახელმძღვანელის/კოორდინატორის ფუნქციები და პასუხისმგებლობების სფერო, დანართი 2 • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ხელმძღვანელების დატვირთვა. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა ხელმძღვანელების დივერსიფიკაცია, ასევე თითოეულ ხელმძღვანელზე მიმაგრებული სტუდენტების რაოდენობის შემცირება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ხელს უწყობს თანამშრომლებს პროფესიულ განვითარებაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაში. უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში. მაგალითად, ერაზმუს მუნდუსი, მარი კიური, მეკლანა, ორმხრივი თანამშრომლობა ერაზმუს+ და BASERCAN.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრებების შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პროფესიულ განვითარებაში. ისინი ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში საქართველოში თუ საზღვარგარეთ. მაგალითად, 2012 წლიდან სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, მათ შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ფულბრაიტის პროგრამის ხელშეწყობით, განხორციელდა უცხოელი პროფესორების მოწვევა მოკლევადიანი სალექციო კურსების წასაკითხად. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ინიციატივით მოწვეული იყვნენ: ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი სიუ ჯეკსონი (დიდი ბრიტანეთი), სოფიის უნივერსიტეტის პროფესორი იონა სარიევა (ამჟამად სანტ ლეოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აშშ), ჩიკაგოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორები ანა გილ-გარსია და ჯუდით იტურიაგო (აშშ), კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვენდი სმიტი (აშშ), დოქტ. ტომას ბერანგი, ზაარლანდის უნივერსიტეტიდან (გერმანია), კილის ქრისტიან ალბრეხტის უნივერსიტეტის პროფესორი ვილჰელმ ბრინკმანი (გერმანია). გაცვლითი მობილობის ეგიდით 2017 წლის 14 და 15 თებერვალს ისლანდიის უნივერსიტეტის პროფესორებმა განათლების მეცნიერების დეპარტამენტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის ჩაატრეს ტრენინგები. საპასუხოდ, 2017 წლის 24-30 აპრილს, ERASMUS + აკადემიური პერსონალის მობილობის გრანტით ისლანდიის უნივერსიტეტში განახორციელეს სამუშაო ვიზიტი განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის პროფესორებმა იზაბელა პეტრიაშვილმა და ნინო ჩახუნაშვილმა. გარდა ამისა, ERASMUS+ პროექტი CURE, ERASMUS+ პროექტის ASSET-ის ფარგლებში

განხორციელდა მრავალი ტრენინგი თუ სემინარი. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი კვლავაც გეგმავს ამ სტრატეგიის გაგრძელებას. (პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, დანართი #16)

2007 წლიდან ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. დეპარტამენტი პერიოდულად აწარმოებს შეხვედრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოსთან, საქპატენტთან. დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში აწარმოებს კონსულტაციებს თსუ-ს პერსონალისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ.

ამას გარდა, წარმოდგენილია "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი" (დამტკიცებული 2018 წლის 26 თებერვალს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #81/2018). აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, მასწავლებლები და მოწვეული სპეციალისტები თვითშეფასებას ახორციელებენ დადგენილი წესით ყოველი კალენდარული წლის მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე, უნივერსიტეტში მოქმედებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი (დადგენილება №78/2018, 26 თებერვალი, 2018 წელი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი", თებერვალს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #81/2018, 2018 წლის 26 თებერვალს
- მოქმედებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი, დადგენილება №78/2018, 26 თებერვალი, 2018 წელი
- პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები
- აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის N122 დადგენილება
- სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტის დებულება
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- 2011-2018 წწ-ში უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის განვითარებისთვის გათვალისწინებული დაფინანსება
- თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება
- თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები
- სსიპ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N122/2014
- სსიპ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის N29/2017 დადგენილება
- სსიპ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის N30/2017 დადგენილება

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება თსუ-ს მე-3 კორპუსში, სადაც აუდიტორიები, ტექნიკა და ბიბლიოთეკა საკმარისი რაოდენობითაა. წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რაც ცალსახად პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განცხადებით, ბიბლიოთეკა ყოველთვის მზადაა შეიძინოს სილაბუსით განსაზღვრული და ნებისმიერი სხვა საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად, გადამოწმდა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რითაც დადასტურდა ლიტერატურის ხელმისაწვდომობა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზები, ასევე ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, პრინტერები, ასლის გადამღები და სკანერის აპარატები. ბიბლიოთეკები ასევე უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით. ბიბლიოთეკებში მოქმედებს ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესები და ინსტრუქციები (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებითა და სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება № 46/02-01). წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გარდა, მკითხველს შეუძლია ისარგებლოს ლექსიკონების, დისერტაციებისა და აუდიო წიგნების ელექტრონული ფორმატით. გარდა ამისა, მიმდინარეობს სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გაციფრულები, რაც ხელსაყრელია სტუდენტებისთვის (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ღია წვდომის ციფრული არქივის (რეპოზიტორის) ფუნქციონირების წესი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის №265/01-01 ბრძანება). სტუდენტები ინფორმირებული არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობების და მოხამრების წესის შესახებ.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და სამეცნიერო პერსონალის წვდომას საერთაშორისო უცხოურ სამეცნიერო ბაზებზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო აღნიშნული ბაზებიდან ინფორმაციის მოძიება და ჩამოტვირთვა.

ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს მიეწოდებათ სწავლის დაწყებისას საორიენტაციო შეხვედრებზე. ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერით, მონიტორით და სხვა აუცილებელი ინვენტარით. სტუდენტებისთვის განკუთვნილია ასევე თავისუფალი სივრცე სწავლისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებითა და სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება № 46/02-01
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ღია წვდომის ციფრული არქივის (რეპოზიტორის) ფუნქციონირების წესი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის №265/01-01 ბრძანება
- საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსი
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგარდობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს თსუ-ს ბიუჯეტის ნაწილს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია პროგრამის სავაურაუდო ბიუჯეტი, რომელიც მიუთითებს, რომ პროგრამა მომგებიანია (შემოსავალი 135000, ხარჯი 75,000). აღნიშნული ბიუჯეტი ნაერთი სახით მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოზე. გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთან ნაშრომების სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა დაბეჭდვაზე.

გასაუბრების პროცესში მოწვეული ლექტორები აღნიშნავენ, რომ ფაკულტეტი ყოველთვის მზადაა შეიძინოს მათ მიერ იდენტიფიცირებული წიგნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ სამწლიან სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები • პროგრამის ბიუჯეტი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი).

სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივი დახვეწის მიზნით, უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას ყოველი სემესტრის ბოლოს. სტუდენტებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ ისინი რეგულარულად აფასებენ ლექტორს, კურსს და საშუალება ეძლევათ ღია კითხვების ნაწილში გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სასწავლო პროცესის შესახებ. პროგრამის დოკუმენტში ასახულია სტუდენტების შემოთავაზებები/რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას და ხელს უწყობს უნივერსიტეტისადმი მათი კუთვნილების შეგრძნების გაძლიერებას.

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ოქმები, რომლებიც ადასტურებს ზემოთ ხსენებული პირების ჩართულობას, დაოქმებულია მათი მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები. თვითშეფასების ოქმი #1-ით (02.04.2019) განისაზღვრა პროგრამის მომზადებაში ჩართული პირების ფუნქციები და მოვალეობები, ოქმი #2 -ში (10.04.2019) განხილულია სტუდენტების და კურსდამთავრებულების შეხედულებები პროგრამის გაუმჯობესების თვასაზრისით, ოქმი #3-ით ყველა ზემოთ-ხსენებული პირის ჩართულობით განხილული იყო სასწავლო გეგმა და სილაბუსები (12.07.2019), ოქმი #5-ით განისაზღვრა თვითშეფასების ჯგუფის წევრების ფუნქციები (...), ოქმი #6 (1.05.2019) ასევე მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხედულებებს პროგრამასთან დაკავშირებით, ოქმი #7 (7.05.2019) დამტკიცებულია პროგრამა წარმოდგენილი სახით. ზემოაღნიშნული თვალნათლივ ადასტურებს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მონაწილეობითი პრაქტიკის უზრუნველყოფას.

თვით შეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. აღნიშნული გათვინობიერებულია როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე

აკადემიური პერსონალის მიერ. შესაბამისად მათ გააჩნიათ ხედვა პროგრამის მუდმივი და შემდგომი გაძლიერების კუთხით. მაგალითად, აღნიშნა რომ საჭიროა სკოლამდელი განათლების საკითხების ინტეგრირება პროგრამაში ცალკე კურსის სახით, ასევე საჭიროა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერება, პროგრამის წინაპირობის და მოთხოვნების გათვალისწინებით, ა.შ.

ძლიერი და გასაუმჯობესელი მხარეების იდენტიფიცირების და შემდგომი მუშაობის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი (დანართი #1), რომლითაც განსაზღვრულია პროგრამის შეფასების კონკრეტული ინდიკატორები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს პრინციპს დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც აღწერს იმ განსახორციელებელ აქტივობებს, რომელიც დაგეგმილია მიმდინარე სასწავლო წელს. აღნიშნულ გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის ფუნქციონირების თითქმის ყველა კომპონენტი - სასწავლო კურსების შინაარსის და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა, კვლევების ჩატარება და სხვ. უნივერსიტეტში ასევე არსებობს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, უნივერსიტეტის მმართველობის გაუმჯობესებას, სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალიზაციას, სტრატეგიული პრიორიტეტებს და სხვას. კონკრეტულად განალთების მეცნიერებათა პროგრამასთან მიმართებაში, სხვა საკითხებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული მიმართულება 2, რომელიც სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისკენაა მიზანმიმართული. ასევე მნიშვნელოვანია მიმართულება 3 სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება და ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოება.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, მიუხედავად ცალსახად დადებითი პრაქტიკისა, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს კურსდამთავრებულა შრომის ბაზარზე ინტეგრირების/ დასაქმების ანალიზი. აღნიშნულით შეიქმნებოდა ბაზა, რომლის საფუძველზე შესაძლებელია რეკომენდაციების შეიმუშავება, როგორც ფაკულტეტის, ასევე ხარისხის სამსახურისა და თავად სტუდენტებისთვის. ასევე, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია სტუდენტთა დასაქმების პროცენტული მაჩვენელი, რაც ცალსახად კლების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული შესაძლებელია იყოს მეთოდოლოგიის ნაკლოვანებით, თუმცა კონკრეტული პასუხი საკითხთან დაკავშირებით არ დაფიქსირდა. შესაბამისდ, საჭიროა აღნიშნული მიმართულებით მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრები შედეგები
- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის თვითშეფასების სხდომის ოქმი #1 (02.04.2019)
- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თვითშეფასების სხდომის ოქმი #2 (10.04.2019)
- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის სამუშაო ოქმი #3 (12 ივლისი, 2019 წელი)
- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სხდომის ოქმი #5 (27.03.2019)
- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სხდომის ოქმი #6 (1.05.2019)
- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა საბჭოს სხდომის ოქმი #6 (18.07.2019)
- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის სამუშაო შეხვედრის ოქმი #7 (7.05.2019)
- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის სამუშაო შეხვედრის ოქმი #8 (21.07.2019)
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი
- სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აწარმოოს კურსდამთვრებულთა დასაქმების რეესტრი, რათა მოხდეს პროგრამის დოკუმენტით განსაზღვრული დასაქმების სფეროების გადამოწმება. აღშნილი ბაზის ანალიზი მნიშვნელოვანი იქნება მოქმედი სტუდენტებისთვის კავშირების დასამყარებლად, პოტენციურ დამსაქმებელთან ურთიერთობისთვის და ა.შ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა 1999 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს (სხდომის ოქმი #229). ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით განსაზღვრული მიგნებები და რეკომენდაციები გათვალისწინებულა წარმოდგენილ პროგრამაში, კონკრეტულად კი სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, გაფორმებულია მემორანდუმები დამსაქმებლებთან (თუმცა საჭიროებს განახლებას), სილაბუსებში შეტანილია უახლესი ლიტერატურა, რომელთა მოძიება მარტივად არის შესაძლებელი ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, წარმოდგენილია კომპეტენციების რუქა და ა.შ.. ზოგადად, პროგრამა მომზადებულია აკრედიტაციისთვისობრივად ახალი სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის გუნდი პროგრამის გარე ხარისხის შეფასებას მუდმივად იყენებს პროგრამის დახვეწის და განახლების მიზნით. გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ ფაკულტეტზე

საჭიროებისამებრ მიმდინარეობს დისკუსიები ამ კუთხით. აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე გამოიყენება საერთაშორისო პარტნიორების პრაქტიკის ანალიზი და რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: • გასაუბრების შედეგები • აკრედიტაციის საბჭოს ოქმის #229, 18.07.2012. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და შეფასების ყველაზე აქტიური ფორმაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების მოკრება და შეჯერება. უნივერსიტეტის

მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში მოცემულია უსდ-ის სტუდენტების კონკრეტული საგნების/ლექტორების შეფასების კითხვარები, ასევე წარმოდგენილია აღნიშნული კითხვარების ანალიზი, შემუშავებულია რეკომენდაციები.

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულმა პირებმა გაითვალისწინეს როგორც საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, ასევე განათლების დარგის განვითარების ძირითადი ტენდენციები და მსგავსი პროგრამების საერთაშორისო გამოცდილება. აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა პროგრამის შინაარსობრივი მხარე და დატვირთვა.

პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთ ინსტრუმენტს ასევე წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების საშუალებით. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი, რომელიც მოიცავს აღნიშნულ პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი დამტკიცების შესახებ (დადგენილება №78/2018), რომლითაც ხელმძღვანელობს ფაკულტეტი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასებას, რაც უნივერსიტეტში რეგულარულად ხორციელდება. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია კონკრეტული ინდიკატორები და შეფასების პერიოდულობა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვები ყოველ სემესტრში. გაანალიზებული ინფორმაცია მიეწოდებათ ლექტორებს შემდგომი რეაგირების მიზნით. აღნიშნული პროცედურის განხორციელება დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა, ასევე ლექტორებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი დამტკიცების შესახებ (დადგენილება №78/2018)
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი დამტკიცების შესახებ (დადგენილება №78/2018)

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მარიამ ზანძელაძე: 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი გახელაძე: 

მანანა ქაჯაია: 

სოფიკო შარაბიძე: 